ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ოქტომბერი 2011 N10 (32)

ევროზონის კრიზისი



წყარო: www.seekingalpha.com

2009 წლიდან კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკის მქონე ქვეყნებს შორის ჩნდება გარკვეული შიში ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. სუვერენული ვალის ოდენობის ზრდის გამო განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევიან საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია. აღნიშნული ვალის ზრდა კი გამოიწვია ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ხანგრძლივმა და მძიმე დაუბალანსებლობამ. წლების განმავლობაში ამ ქვეყნების საბიუჯეტო დეფიციტი აღემატებოდა მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ – მშპ–ს 3%–ს.

ევროზონამ სამხრეთ ევროპის ქვეყნებს უფრო ძლიერი ვალუტა მოუტანა, ვიდრე მათ ევროს შემოღებამდე ჰქონდათ. ამან ამ ქვეყნების ექსპორტზე უარყოფითი ზეგავლენა ჰპოვა. თუმცა სამაგიეროდ ევროზონამ მათთვის უფრო იაფი და ხელმისაწვდომი გახადა კრედიტი, რამაც ამ ქვეყნების მთავრობებს საშუალება მისცა დიდი საბიუჯეტო დეფიციტის ხარჯზე ემუშავათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისლანდიამ, რომელსაც ამ დროისთვის გადატანილი ჰქონდა 2008-2011 წლების ეკონომიკური კრიზისი თავისი საბანკო სისტემის მოშლის მიზეზით, ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე უარი განაცხადა უცხოური ბანკებისთვის ვალების გაცემაზე. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ისლანდია ყველაზე ნაკლებ დაზარალდა ევროპის სუვერენული ვალის კრიზისით.

ყველაზე მძიმე შედეგები აღნიშნულმა კრიზისმა საბერძნეთს მოუტანა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მძიმე ზეგავლენა საბერძნეთის ეკონომიკის ცენტრალურ დარგებზე – ტურიზმზე და ტვირთის გადაზიდვებზე მოახდინა. საბერძნეთის ეკონომიკას ამ დარგებიდან მიღებული შემოსავლები 15%–ით შეუმცირდა.

2011 წლის მაისში ამ ქვეყნის სუვერენული ვალის ოდენობა აშკარა შეშფოთების საგანი გახდა. 2010 წლის მაისში ევროზონის ქვეყნები და საერთაშორისო მონეტარული (სავალუტო) ფონდი შეთანხმდნენ საბერძნეთისთვის 110 მილიარდი ევროს გამოყოფაზე მის მიერ მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობით, თუმცა მთავრობამ რეალურად ვერ მოახერხა კრიზისის აღმოსაფხვრელად საჭირო ისეთი მკაცრი რეფორმების გატარება, როგორიცაა მაგალითად, საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება. საბერძნეთის მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა ეკონომიკურ რეფორმებს და პროტესტის გამოხატვა დაიწყო დემონსტრაციებით, რომლებიც საბოლოოდ დიდ არეულობაში გადაიზარდა ათენის ქუჩებში.

2010 წელს საბერძნეთისათვის გამოყოფილ დახმარებას ამავე წლის ნოემბერში მოჰყვა 85 მილიარდი ევრო ირლანდიისთვის, ხოლო 2011 წლის მაისში – 78 მილიარდი ევრო პორტუგალიისთვის.

2011 წლის ოქტომბერს, ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ევროზონის ლიდერები შეთანხმდნენ კრიზისში მყოფი წევრების დასახმარებელი ზომების პაკეტზე. აღნიშნული შეთანხმება მოიცავს ისეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას, როგორიცაა საბერძნეთისთვის თავისი ვალის 50%–ის ჩამოჭრა, EFSF–ის (European Financial Stability Facility – ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდი) 1 ტრილიონი ევროთი გაზრდა და ევროპული ბანკების 9%–იანი კაპიტალიზაციის მიღწევა.

საბერძნეთის მთავრობის განცხადებით, 2012 წლის დასაწყისში ქვეყანაში ჩატარდება რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვითაც გადაწყვეტს დათანხმდეს თუ არა ევროკავშირის მიერ მისი ვალების 50%–მდე შემცირებას. თუმცა ასეთ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას ეჭვით უყურებენ ევროკავშირის ლიდერები.

დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის საბერძნეთის კრიზისის გავრცელება ევროზონის სხვა ქვეყნების ეკონომიკებზეც. ამ საფრთხის აღსანიშნად ხშირად იყენებენ ტერმინს „გადადების საფრთხე'' (Risk of Contagion). ექსპერტების გათვლებით, ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ დღეს არის ირლანდია, რომლის საბიუჯეტო დეფიციტიც 2010 წელს შეადგენდა მისი მშპ-ის 32.4%–ს, ესპანეთი 9.2%–იანი დეფიციტით და პორტუგალია 9.1%–ით. თუმცა საინტერესოა ლონდონის ეკონომიკური სკოლის ევროპული ინსტიტუტის მკვლევარის, იან ბეგის მოსაზრება, რომ აღნიშნულ კრიზისს შეიძლება პარადოქსული შედეგი მოჰყვეს და გამოიწვიოს ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება ევროკავშირის შიგნით. ბეგის აზრით, კავშირში ახალი წევრების მიღების, ანუ „გაფართოების'' (Widening) ნაცვლად პრიორიტეტი უფრო მეტად მიენიჭება „გაღრმავებას'' (Deepening), ანუ უკვე არსებულ წევრებს შორის ურთიერთობების გამყარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

ოქტომბრის დაიჯესტი

პუტინის მიერ მოწონებული და სხვების მიერ დაწუნებული "ევრაზიის გაერთიანება"

ვლადიმერ პუტინი გამოდის ინიციატივით, შეიქმნას რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებისაგან შემდგარი "ევრაზიის გაერთიანება".
რუსეთის პრემიერის აზრით, ეს გაერთიანება უნდა დაფუძნდეს 2012 წლის 1 იანვარს, როდესაც იგეგმება რუსეთის, ბელარუსის და ყაზახეთის საერთო ეკონომიკური ზონის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ამ ქვეყნებს შორის კაპიტალის, სერვისის და მუშახელის თავისუფალ მიმოსვლას. პუტინი მზადაა "ევრაზიის გაერთიანებაში" აზიის სხვა ქვეყნებიც მიიწვიოს. სავარაუდოდ, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი პირველები შეუერთდებიან რუსეთის ინიციატივას.
რუსეთის პრემიერი უარყოფს იმ აზრს, რომ თითქოს მას განზრახული აქვს მცირე საბჭოთა კავშირის დაფუძნება და აცხადებს, რომ მისი მიზანია ახალ ღირებულებებსა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხედვაზე დამყარებული ერთობის შექმნა.
საერთაშორისო საზოგადოებამ პუტინის ევრაზიის გაერთიანების იდეა შეაფასა როგორც საბჭოთა კავშირის აღდგენისა და ცივი ომის დროინდელი მდგომარეობის დაბრუნების მცდელობა.

წყარო: www.sublimeoblivion.com

იტალია მზად არის ევროს გადასარჩენად სუვერენიტეტი დათმოს

პოლონეთში ევროზონის საკითხებზე შეხვედრის წინ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკო ფრატინის თქმით, ევროპულ ფედერალიზმზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, რომი მზადაა უარი თქვას სუვერენიტეტზე ცენტრალური ევროპული ხელისუფლების შესაქმნელად. ამით მან კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ევროპისთვის სავალუტო კრიზისის განვითარების საშიშროებაზე. ფრატინის აზრით, ევროზონის ფარგლებში რეფორმების გატარებისთვის დიდი გამბედაობაა საჭირო, ვინაიდან ამომრჩევლებისთვის არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ.
პოლონეთის ფინანსთა მინისტრის, იაჩეკ როსტოვსკის განცხადებით, იტალიაში სავალუტო კრიზისის გაძლიერების შემთხვევაში ევროზონას განადგურება დაემუქრება. მან ევროპელ ლიდერებს მოუწოდა, გადადგან თამამი ნაბიჯები კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად.

ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მეორე სხდომა

ბრიუსელში 2011 წლის 13 ოქტომბერს გამართული ქვეკომიტეტის სხდომის თანათავმჯდომარეები იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევრინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი თეა ახვლედიანი და ევროპული საგარეო მოქმედებათა სამსახურის (EEAS) აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი სამმართველოს უფროსი ჯონ კეარი.
ქვეკომიტეტის სხდომაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში ტრანსპორტის, ენერგეტიკის და გარემოს დაცვის სფეროებში განხორციელებული რეფორმები და ძირითადი მიღწევები და ამ დარგებში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის დინამიკა; ყურადღება დაეთმო აგრეთვე რეგიონული თანამშრომლობის საკითხებსა და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. ევროპული მხარის მიერ ხაზგასმით აღინიშნა განხილულ სფეროებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი.

ევროკავშირი მხარს უჭერს პოსტკადაფისეულ ლიბიას

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროსომ და ევროკავშრის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპუიმ ერთ–ერთმა პირველებმა განაცხადეს მუამარ კადაფის სიკვდილის შესახებ და აღიარეს ეს ფაქტი როგორც „დესპოტიზმისა და ერის რეპრესიების დასასრული".
ევროკავშირმა 85 მილიონი ევრო გამოყო ლიბიის რეკონსტრუქციისა და სტაბილიზაციისთვის. აღინიშნა, რომ ლიბიას მდიდარი რესურსები მოეპოვება და ამიტომ მას არ დასჭირდება ხანგრძლივი დახმარება. ევროპის სამეზობლოს მიზანია დაეხმაროს ლიბიას ეკონომიკის გაძლიერებაში – განაცხადა ევროკომისარმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონმა.

წყარო: www.4 zhurnal-ks.com

ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე სამუშაო ჯგუფის (COEST) ვიზიტი

2011 წლის 18 ოქტომბერს დასრულდა ევროკავშირის საბჭოს, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე სამუშაო ჯგუფის (COEST) ოთხდღიანი ვიზიტი საქართველოში. COEST-ი ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოებისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს რეგიონის შესაბამისი ქვეყნებისათვის, მათ შორის - საქართველოსათვის. კომიტეტის 2011 წლის 15-18 ოქტომბრის ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში არსებული მდგომარეობის გაცნობა და ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის დინამიკასა და სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა. ვიზიტისას დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მდგომარეობის განხილვას და ამ კუთხით ევროკავშირის როლის მნიშვნელობას. ევროპულმა დელეგაციამ მოინახულა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საველე ოფისი მცხეთაში, ვაზიანის სამხედრო ბაზა, ოკუპირებული ტერიტორიების მისადგომები და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებები. იუსტიციის მინისტრის მოადგილის, გიორგი ვაშაძის თანხლებით დელეგაცია ესტუმრა ბათუმის იუსტიციის სახლს.

გამოყენებული წყაროები:

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm

www.euractiv.com; www.euobserver.com; mfa.gov.ge

www.europeanvoice.com

საინტერესოა:

პარლამენტში "სურსათზე, კონკურენციასა და პროდუქტზე" მსჯელობენ

2011 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა. საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოადგინა შემდეგი კანონპროექტები: `თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ; `საქართველოს კოდექსი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ; `საქართველოს კოდექსი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ; და აღნიშნული კანონპროექტებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები.
აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივები მომზადდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების მოსამზადებელი სამუშაოს ფარგლებში, რომელიც მოიცავდა კონკურენციის, სურსათის უვნებლობისა და ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების თაობაზე მთავრობის ყოვლისმომცველი სტრატეგიების მიღებას და ამ სტრატეგიების საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას.
კომიტეტის სხდომაზე ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგინა საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა. სხდომაზე ასევე მოწვეულები იყვნენ პრემიერ მინისტრის მრჩეველთა ჯგუფისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.
საკანონმდებლო პაკეტის წარმოდგენის შედგომ, სხდომის თავმჯდომარემ, კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ირაკლი კენჭოშვილმა ხაზი გაუსვა წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელობას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების, განსაკუთრებით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. ამავე დროს მან სხდომაზე მოწვეულ სტუმრებს გააცნო კომიტეტის მიერ მომზადებული შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საკანონმდებლო ინიციატივების სამართლებრივი მხარის სრულყოფას, კანონპროექტის ცალკეული ტერმინებისა და მუხლების დაზუსტებას, აღნიშნულ სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის და საქართველოს კანონმდებლობაში მათი ასახვის სხვადასხვა ასპექტებს.
მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, მეორე მოსმენისათვის ევროინტეგრაციის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების ირგვლივ მუშაობა გაგრძელდება. კომიტეტი ასევე განაგრძობს მუშაობას პრემიერ მინისტრის მრჩეველთა ჯგუფთან იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ კონსულტაციების მიმდინარეობას, ასევე ამ კონსულტაციების ფარგლებში საქართველოს მხარის მიერ აღებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ვალდებულებების შესრულებას.
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://www.euractiv.com/innovation-enterprise/crisis-increases-need-good-education-oecd-news-507595

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის სოციალური კლიმატის ანალიზი

გასულ თვეს ევროკავშირის სტატისტიკური კვლევების ცენტრმა გამოაქვეყნა მოსახლეობის სოციალური კლიმატის ანალიზის შედეგები. გამოკითხვაში ევროკავშირის ყოველი ქვეყნიდან მონაწილეობდა 1000-მდე ადამიანი. მონაცემები შეფასდა –10–დან +10–მდე ქულიანი სისტემით. მსგავსი გამოკითხვის პირველი ეტაპი ჩატარდა ორი წლის წინ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ხოლო მეორე - 2010 წელს. რთული ეკონომიკური ფონის მიუხედავად, მეორე გამოკითხვაში რესპოდენტთა ნაწილმა ეკონომიკური წინსვლა აღნიშნა.
წლევანდელი შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია თავისი პირადი მდგომარეობით, რაც საშუალოდ 3,5 ქულით შეფასდა (რაც+0,4–ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს). ეს რიცხვი ყველაზე მაღალია ჩრდილოეთ ევროპისა და ბენილუქსის სახელმწიფოებში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, და ყველაზე დაბალია საბრძნეთში, პორტუგალიაში, უნგრეთში, აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნებში. პირადი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილით კმაყოფილება ევროპელებმა, შესაბამისად, 4,4 და 1,7 ქულით შეაფასეს.

პირადი მდგომარეობის ასეთი შეფასების მიუხედავად, თავი იჩინა პესიმისტურმა განწყობამ ევროკავშირში არსებული ვითარებისადმი, რაც რესპოდენტების აზრით, უახლოეს 12 თვეში კიდევ უფრო გაუარესდება. გამოკითხულთა უმრავლესობამ ყველა სფერო ნეგატიურად შეაფასა: ეკონომიკური სიტუაცია –2,9, დასაქმება –3,5, საარსებო მინიმუმი –3,4, საცხოვრებელი პირობების ხელმისაწვდომობა –3,3, სახელმწიფო სამსახურის ფუნქციონირება –1,4. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგები უკეთესია, ვიდრე წინა წლის მაჩვენებლები.
გამოკითხულთა შორის მომავლისადმი ოპტიმიზმის დაბალმა მაჩვენებელმა და დღევანდელობის ნეგატიურმა შეფასებამ თავი იჩინა სოციალური დაცვის საკითხებშიც: ჯანდაცვა 1,2, პენსიონერებზე ზრუნვა –1,5, უმუშევართა დახმარება –1,2, სოციალური უთანასწორობის და სიღარიბის დაძლევა –2,5.
წინა წლების მსგავსად, უკეთესი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელთა ათეულში კვლავ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები არიან.

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Dr. Zoltán Horváth, Bálint Ódor
The Union after Lisbon - The Treaty reform of the EU
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd.
ენა: ინგლისური

Attila Marjan
The Middle of the Map - Geopolitics of Perceptions
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

Matthias Ruffert
Legitimacy in European Administrative Law: Reform and Reconstruction
გამომცემელი: Europa Law Publishing
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლია იხილოთ ვებ-გვერდზე :
www.eubookshop.com

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას – განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიების შესახებ.

EMI - ის სასწავლო კურსი

EMI-ის სასწავლო აკადემია 2012 წლის 20-26 თებერვალს ევროკომისიის საქმიანობით დაინტერესებულ სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს ქალაქ ბრიუსელში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ სხვადასხვა ინსტიტუციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, შეხვდნენ მაღალი რანგის მომხსენებლებს და ესაუბრონ მათ სხვადასხვა საინტერესო თემებზე სასიამოვნო, მეგობრულ გარემოში. სასწავლო კურსი განკუთვნილია 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის. ლექციები ჩატარდება ინგლისურ ენაზე. რეგისტრაცია ფასიანია: €750 (მოიცავს საცხოვრებელს, კვებას და ქალაქის შიგნით მგზავრობას). დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ CV და სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე.

განაცხადების მიღების ბოლო დღეა 2011 წლის 30 ნოემბერი.

გერმანიის ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიები

კგერმანიის ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი აცხადებს კონკურსს ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა მიმართულებების განხრით სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების გასავლელად გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი ატარებს ლიბერალურ პოლიტიკას და მოწოდებულია იხელმძღვანელოს თავისუფლების პრინციპებით საზოგადოების თითოეული ფენის ღირსების უზრუნველსაყოფად. თითოეული სტუდენტის მიერ გაგზავნილი განაცხადი გაივლის წინასწარ შესარჩევ პროცესს. დიდი ყურადღება მიექცევა კანდიდატის აკადემიურ კვალიფიკაციას და წარმატებული განაცხადი შერჩეული იქნება სიფრთხილით. პირველ ეტაპზე გამარჯვებული სტუდენტები სტიპენდიას მიიღებენ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

სტიპენდიის მოსაპოვებლად მინიმალურ მოთხოვნებს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- ჩარიცხვის დამადასტურებელი წერილი გერმანიის ერთ - ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის გასავლელად;
- გერმანული ენის სრულფასოვნად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დამატებითი კრიტერიუმები მოცემულია პროგრამის ვებ - გვერდზე გერმანულ ენაზე.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 15 ნოემბერი..

მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიები

მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი (ლაიფციგი, გერმანია) აცხადებს კონკურსს სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის, პალეონტოლოგიის ან მონათესავე სფეროს მკვლევრებს. კვლევითი პროექტების ძირითადი თემა იქნება აფრიკული პლიო-პლეისტოცენის დროინდელი ჰომინინების კრანიო-დენტალური ნამარხები.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 31 იანვარი.

გაცვლითი პროგრამა მაგისტრანტებისათვის - ფრიბურგის უნივერსიტეტი - სრული სტიპენდიები

“კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელი” (Academic Swiss Caucasus Net) 5-წლიანი პროგრამაა, რომლის მიზანია სამხრეთ კავკასიაში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარება. იგი ფინანსდება “გებერტ რიუფ ფონდიდან” და ხორციელდება ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტის მიერ.

წყარო:www.liquidmotions.neac2.eu

პროგრამის ფარგლებში, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ერთი სემესტრის განმავლობაში (სექტემბერი, 2011 წელი - იანვარი, 2012 წელი) ისწავლონ ფრიბურგის უნივერსიტეტში და აირჩიონ კურსები შემდეგ მიმართულებებში:

- ისტორია;
- ფილოსოფია;
- სოციოლოგია;
- პოლიტიკური მეცნიერებები.

სტიპენდია ფარავს სწავლისა და საცხოვრებელი ადგილის ხარჯებს 5 თვის მანძილზე.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2012 წლის 31 იანვარი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32, 219–220, ტელ.: (832) 229 47 11